www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

2024 წელი IV კვარტალი

06.03.2025
www.geostat.ge

06.03.2025

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

(2024 წლის IV კვარტალი)

2024 წლის IV კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 10.0 პროცენტით გაიზარდა და 62.0 მილიარდი ლარი შეადგინა.

ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2024 წლის IV კვარტალში მისი მოცულობა 23.5 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 10.8 პროცენტით მეტია:

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მოცულობა კვარტლების მიხედვით



06.03.2025

2024 წლის IV კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობის 67.6 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდიოდა, 14.9 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო 17.5 პროცენტი კი - მცირე ბიზნესზე.

მცირედით განსხვავებული განაწილება იყო პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდიოდა პროდუქციის გამოშვების 43.8 პროცენტი, საშუალოზე - 25.1 პროცენტი, ხოლო მცირე ბიზნესზე - 31.1 პროცენტი.

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები საწარმოთა ზომების მიხედვით, 2024 წლის IV კვარტალი



2024 წლის IV კვარტალში საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 33.2 მილიარდი ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 8.6 პროცენტით მეტი), ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა - 18.8 მილიარდი ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 0.6 პროცენტით ნაკლები) შეადგინა.

2024 წლის IV კვარტალში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 811.8 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 3.8 პროცენტით მეტია. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 43.7 პროცენტი ქალი იყო, ხოლო 56.3 პროცენტი - კაცი.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა კვარტლების მიხედვით



დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 41.7 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდიოდა, 21.5 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო 36.9 პროცენტი - მცირე ბიზნესზე.

საანგარიშო პერიოდში, დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ 764.2 ათასი კაცი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 3.0 პროცენტით მეტი), ხოლო საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე 5 536.6 მილიონი ლარით განისაზღვრა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10.9 პროცენტით მეტი).

2024 წლის IV კვარტალში, ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 2 367.0 ლარს გაუტოლდა (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 170.8 ლარით), ხოლო მათ შორის ქალების ხელფასმა 1 847.3 ლარი შეადგინა (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 159.7 ლარით). საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი კი შემდეგნაირია:

- მსხვილი ბიზნესი – 2 466.2 ლარი
- საშუალო ბიზნესი – 2 750.1 ლარი
- მცირე ბიზნესი – 1 969.8 ლარი.

2024 წლის IV კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი - 35.1 პროცენტი მოდის ხელოვნება, გართობა და დასვენების დარგზე, მეორე ადგილზეა ვაჭრობა (ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის ჩათვლით) 33.7 პროცენტიანი წილით, შემდეგ მოდის მშენებლობა - 7.0 პროცენტიანი წილით, დამამუშავებელი მრეწველობა - 6.9 პროცენტიანი წილით, ტრანსპორტი და დასაწყობება - 4.6 პროცენტიანი წილით, ხოლო 12.7 პროცენტი დანარჩენ დარგებზე ნაწილდება:

ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურა,
2024 წელი IV კვარტალი



06.03.2025

2024 წლის IV კვარტალში ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებაში პირველ და მეორე ადგილებს იკავებს მშენებლობა (20.5 პროცენტი) და ვაჭრობა (18.6 პროცენტი), შემდეგ მოდის დამამუშავებელი მრეწველობა (17.6 პროცენტი) და ტრანსპორტი და დასაწყობება (9.5 პროცენტი), ხოლო დანარჩენ დარგებს სტრუქტურაში 33.8 პროცენტიანი წილი უჭირავს.

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების სტრუქტურა, 2024 წელი IV კვარტალი



06.03.2025

2024 წლის IV კვარტალში დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით ბიზნეს სექტორში ვაჭრობის (საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი), დამამუშავებელი მრეწველობისა და ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქმიანობების დარგები ლიდერობენ შესაბამისად, 28.5, 11.3 და 9.2 პროცენტიანი წილებით. სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი მოდის მშენებლობის (8.6 პროცენტი), ტრანსპორტისა და დასაწყობების (8.2 პროცენტი), აგრეთვე ინფორმაცია და კომუნიკაციის (6.2 პროცენტი) და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების (5.3 პროცენტი) დარგის საწარმოებზეც:

ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა რაოდენობის სტრუქტურა, 2024 წლის IV კვარტალი



ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილება სქესისა და ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:



06.03.2025

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორის ბრუნვის მაჩვენებლების ცვლილება 2024 წლის IV კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის ბრუნვა
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

ბრუნვა (მლნ. ლარი) NACE REV. 2	2023 წლის IV კვარტალი	2024 წლის IV კვარტალი	2024 წლის IVკვარტლის ზრდის ტემპი 2023 წლის IV კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**56 412.6**	**62 046.7**	**110.0**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	250.4	251.1	100.3
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	307.7	494.6	160.7
დამამუშავებელი მრეწველობა	4 235.2	4 290.8	101.3
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	1 340.5	1 614.2	120.4
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	106.3	136.1	128.0
მშენებლობა	3 719.4	4 363.7	117.3
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	21 225.6	20 925.9	98.6
ტრანსპორტი და დასაწყობება	2 554.5	2 829.1	110.7
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	746.0	864.7	115.9
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	272.0	325.0	119.5
საკვებით და სასმელებით მომსახურება	474.0	539.7	113.9
ინფორმაცია და კომუნიკაცია	1 413.3	1 772.5	125.4
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	577.8	624.4	108.1
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	644.1	743.2	115.4
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	420.7	485.6	115.4
განათლება	226.2	294.6	130.2
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	401.3	521.0	129.8
ხელოვნება გართობა და დასვენება	18 179.3	21 762.0	119.7
სხვა სახის მომსახურება	64.3	73.1	113.8

06.03.2025

შემდეგი ცხრილი ასახავს ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლების ცვლილებას 2024 წლის IV კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვება
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი) NACE REV. 2	2023 წლის IV კვარტალი	2024 წლის IV კვარტალი	2024 წლის IVკვარტლის ზრდის ტემპი 2023 წლის IV კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**21 217.4**	**23 505.3**	**110.8**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	271.2	260.0	95.8
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	339.6	479.4	141.2
დამამუშავებელი მრეწველობა	4 058.8	4 140.0	102.0
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	660.8	670.2	101.4
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	125.3	146.1	116.6
მშენებლობა	4 131.3	4 828.0	116.9
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	4 278.3	4 361.5	101.9
ტრანსპორტი და დასაწყობება	2 001.1	2 228.7	111.4
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	750.8	873.8	116.4
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	276.7	326.6	118.0
საკვებით და სასმელებით მომსახურება	474.0	547.2	115.4
ინფორმაცია და კომუნიკაცია	1 375.3	1 747.4	127.1
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	550.8	626.8	113.8
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	565.6	647.4	114.5
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	330.6	389.9	117.9
განათლება	235.3	306.4	130.2
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	615.7	777.7	126.3
ხელოვნება გართობა და დასვენება	864.1	950.1	109.9
სხვა სახის მომსახურება	62.9	72.0	114.6

06.03.2025

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლების ცვლილება 2024 წლის IV კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი) NACE REV. 2	2023 წლის IV კვარტალი	2024 წლის IV კვარტალი	2024 წლის IVკვარტლის ზრდის ტემპი 2023 წლის IV კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	**737 657**	**811 825**	**103.8**
სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა	11 402	11 946	97.7
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	12 293	12 240	97.5
დამამუშავებელი მრეწველობა	90 026	92 085	98.3
ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	16 509	16 962	101.1
წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	15 359	16 226	101.4
მშენებლობა	61 987	69 715	101.5
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	205 090	230 987	105.9
ტრანსპორტი და დასაწყობება	59 576	66 823	105.2
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	36 810	43 193	108.3
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	13 911	17 450	109.8
საკვებით და სასმელებით მომსახურება	22 899	25 744	107.4
ინფორმაცია და კომუნიკაცია	42 987	50 645	107.9
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	18 567	21 357	105.3
პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	23 107	27 008	105.8
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	21 833	23 998	103.9
განათლება	24 440	24 804	100.7
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	73 639	74 460	101.1
ხელოვნება გართობა და დასვენება	17 093	20 941	111.9
სხვა სახის მომსახურება	6 940	8 435	103.7

რეგიონების მიხედვით მთლიან ბრუნვაში ლიდერობს ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

რეგიონი	%
ქ. თბილისი	80.9
აჭარის ა.რ.	5.3
ქვემო ქართლი	3.6
იმერეთი	2.8
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1.9

რეგიონების მიხედვით პროდუქციის მთლიან გამოშვებაში ლიდერობს ასევე ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

რეგიონი	%
ქ. თბილისი	67.4
აჭარის ა.რ.	8.0
ქვემო ქართლი	6.7
იმერეთი	4.6
სამეგრელო-ზემო სვანეთი	3.4

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს რეგიონების (ქ. თბილისის გარდა) მიხედვით ბრუნვასა და პროდუქციის გამოშვებას (მლნ. ლარი):



დასაქმებულთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

- ქ. თბილისი – 66.5 პროცენტი
- აჭარის ა.რ. – 9.3 პროცენტი
- იმერეთი – 6.2 პროცენტი
- ქვემო ქართლი – 5.4 პროცენტი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.3 პროცენტი
- კახეთი - 2.7 პროცენტი
- შიდა ქართლი - 2.2 პროცენტი
- მცხეთა-მთიანეთი - 1.7 პროცენტი
- სამცხე-ჯავახეთი - 1.5 პროცენტი
- გურია - 0.9 პროცენტი
- რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 0.2

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს ცალკეულ რეგიონში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის განაწილებას სქესის მიხედვით:



შენიშვნები

1. სტატისტიკურმა გამოკვლევამ არ მოიცვა:
   - საქმიანობის სექტორები K, O, T, U
   - 47.8 (საცალო ვაჭრობა ფარდულებში და ბაზრობებზე)
2. გამოკვლეული საწარმოები კლასიფიცირდებიან:
   - ძირითადი საქმიანობის შესაბამისად,
   - ფაქტიური მისამართის შესაბამისად.
3. ადგილობრივი საქმიანობის სახის ერთეულის, როგორც სტატისტიკური ერთეულის შემოღებამდე ქ. თბილისში ჩართულია რამოდენიმე მსხვილი საწარმო:

1. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“
2. შპს „საქართველოს ფოსტა“
3. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
4. სს „სილქნეტი“
5. სს „საქართველოს რკინიგზა“
6. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“
7. სს „საქენერგორემონტი“
8. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ და ა.შ.

რელიზში გამოყენებულია **ეკონომიკური საქმიანობის სახეების** შემდეგი **კლასიფიკაცია: ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია** (ეფუძნება ევროპულ სტანდარტს NACE rev.2) სექციების დასახელებები

A	„სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობა“
B	„სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება“
C	„დამამუშავებელი მრეწველობა“
D	„ელექტროენერგიის აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება“
E	„წყალმომარაგება; კანალიზაცია ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები“
F	„მშენებლობა“
G	„საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი“
H	„ტრანსპორტი და დასაწყობება“
I	„განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები“
J	„ინფორმაცია და კომუნიკაცია“
K	„საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები“
L	„უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები“
M	„პროფესიული სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები“
N	„ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები“
O	„სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება“
P	„განათლება“
Q	„ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები“
R	„ხელოვნება გართობა და დასვენება“
S	„სხვა სახის მომსახურება“
T	„შინამეურნეობების როგორც დამქირავებლის საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის“
U	„ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები“

წყარო: საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა (კვარტალური)

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: 2 36 72 10 (601) E-mail: dzhorzholiani@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020) E-mail: mkavelashvili@geostat.ge